ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ **N** 85/8

„28" „04" 2017 წ. თბილისი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1. ერთის მხრივ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, შემდგომში „შემსყიდველი", მინისტრის მოადგილის ვალერი კვარაცხელიას სახით და მეორე მხრივ, შპს „სი-ტი პარკი", შემდგომში „მიმწოდებელი", გენერალური მენეჯერის ბინიამინ ლაჰავის სახით

2. ხელშეკრულების საგანი და ღირებულება

2.1. „შემსყიდველმა" განახორციელა გამარტივებული შესყიდვა, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცენტრალური აპარატის 2017 წლის ასიგნებების ფარგლებში, სამინისტროს კუთვნილი ავტომანქანებისთვის ერთწლიანი პარკირების მომსახურების (CPV98351100) შესყიდვაზე და მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება 100 (ასი) ლარად (შემდგომში „ხელშეკრულების ღირებულება").

2.2. სამინისტროს კუთვნილი 2 ავტომანქანისთვის (დანართი 2) ერთწლიანი პარკირების მომსახურება და შესაბამისად პარკირების სისტემაში გააქტიურება.

2.3 ერთი ავტომანქანის წლიური პარკირების საფასური შეადგენს **50** ლარს.

3. მომსახურების გაწევის ვადები და ადგილი

3.1. მომსახურების გაწევა განხორციელდება 2017 წლის 4 მაისიდან ერთი წლის ვადით.

3.2. მომსახურება განხორციელდება ქ. თბილისის მასშტაბით.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება ერთჯერადად დანართში მითითებული ავტომანქანების პარკირების სისტემაში გააქტიურების შესაბამისად, წინამდებარე ხელშეკრულების 14.1 პუნქტით განსაზღვრული ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი კოორდინატორის მიერ შედგენილი ინსპექტირების აქტის საფუძველზე, რაზეც გაფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი (დანართი 1) სამ ეგზემპლარად.

5. ანგარიშსწორება

5.1. ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო ანგარიშსწორება ლარებში.

5.2. ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება იწარმოებს ერთჯერადად, მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის (დანართი 1) და „მიმწოდებლის" მიერ წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე 5 სამუშაო დღის განმავლობაში.

6. მხარეთა ვალდებულებები

6.1. „მიმწოდებელი" ვალდებულია:

6.1.1. უზრუნველყოს მომსახურების გაწევა ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

6.1.2 დროულად განიხილოს ,,შემსყიდველის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.
6.2. ,,შემსყიდველი" ვალდებულია:
6.2.1. დროულად განიხილოს ,,მიმწოდებლის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.
6.2.2. მოახდინოს ანგარიშსწორება ,,მიმწოდებელთან" ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

7. მხარეთა უფლებები
7.1. ,,მიმწოდებელს" უფლება აქვს:
7.1.1. მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.
7.2. ,,შემსყიდველს" უფლება აქვს:
7.2.1. აწარმოოს გაწეული მომსახურების ხარისხისა და მოცულობის კონტროლი;

8. ფორს-მაჟორი
8.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
8.2. ამ ხელშეკრულებაში ,,ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დმოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
8.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

9. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა
9.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია წინასწარ. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

9.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. სადავო საკითხების გადაწყვეტა

10.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება რომელიც წარმოიქმნება ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებით.

10.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს საერთო სასამართლოს.

11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

11.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

12 ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1. მხარეებს შეუძლიათ ვადამდე შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების გამო. ხელშეკრულების შეწყვეტის ინიციატორი მხარე ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია წერილობითი ფორმით, წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტამდე არაუგვიანეს ერთი თვით ადრე.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარეებს შესაძლებელია დაეკისროს პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 1%-ის ოდენობით.

13.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14. ინსპექტირების პირობები

14.1.ხელშეკრულების შესრულების შუალედურ და საბოლოო კონტროლს განახორციელებს ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი კოორდინატორი: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის მატერიალური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი გურამ გიორგობიანი.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე.

15.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2018 წლის 1 ივლისამდე.

16. ზოგადი პირობები

16.1. ხელშეკრულება შედგენილია 3 ეგზემპლარად (__ გვერდზე) და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

16.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ხოლო ორი - შემსყიდველთან.

,,შემსყიდველი''	,,მიმწოდებელი''
საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და	შპს ,,სი-ტი პარკი“
სოციალური დაცვის სამინისტრო	ქ. თბილისი, კანდელაკის ქ. N47
ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზ.N144	სს ,,ბანკი რესპუბლიკა“ კოდი REPLGE22
ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური	ანგ. N GE90BR0000010608618945
საიდენტიფიკაციო კოდი 211333957	ს/ კ 204543770
ვალერი ჭარაია	ბინიამინ [illegible]
მინისტრის მოადგილე	გენერალური დირექტორი

ვიზა: ი. ბიბილაშვილი

გ. კაკუშაძე

ი. აბრამიშვილი

ი. ქიტიაშვილი

მ. ტყეშელაშვილი

შემსრულებელი: ნ. ბერუაშვილი

დანართი №2

№	ავტომობილის დასახელება	სახ. №
1	**kia optima**	**CJC-110**
2	**kia sportage**	**CJC-220**